მეორე წელიწადი ფასი 5 კაპ. შაბათი, 28 მაისი 1916 წ. № 118

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ქართული დრამატ. საზოგადოების
## გამგეობა
აშით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ დრამ. საზოგ. საპატიო წევრის

თავ. ალექსანდრე ივანეს-ძე
## სუმბათაშვილის
პატივსაცემლად
ორშაბათს, 30 მაისს, დილით 12 ს. სახაზინო თეატრში
გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა
ავტორის თანადასწრებით და მონაწილეობით

## ღალატი
ალექ. სუმბათაშვილის 5 მოქ. დრამა.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში დაკლებულ ფასებში
დაწვრილებით აფიშებში

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

22 მაისს დილით კისლოვოდსკში უეცრივ გარდაიცვალა
## სტეფანე სვიმონის ძე
## ელიაძე
რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დამწუხრებული ოჯახი. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 28 მაისს, კავკავში.

22 მაისს დილით, კისლოვოდსკში უეცრივ გარდაიცვალა კავკავის ქართულ სკოლისა და ეკლესიის მოამაგე, დაუვიწყარი
## სტეფანე სვიმონის ძე
## ელიაძე
რასაც მწუხარებით აუწყებს წევრთ
კავკავის განყოფილება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა
განსვენებულის დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 28 მაისს, კავკავში
3—107—3)

22 მაისს დილით, კისლოვოდსკში უეცრივ გარდაიცვალა
## სტეფანე სვიმონის ძე
## ელიაძე
რასაც მწუხარებით აუწყებს თავის წევრთ
კავკავის საურთიერთო ნდობის საზოგადოება
განსვენებულის დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 28 მაისს, ქ. კავკავში. 3—107—3

საშა კუციას ასული და ნატალია ქაქუთიასი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 29 მაისს, ფოთის საკათედრო ტაძარში, გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი საყვარელი მეუღლის, განსვენებულ
## ანდრია საბას ძე
## ქაქუთიას
სულის მოსახსენებლად. (2—9—1)

## ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოხელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
—126—

გამოვიდა გაზ. „საქართველოს“ პრემია
## მერანი
წიგნი I.
გაზ. „საქართველოს“ თბილისის წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ მიიღონ რედაქციაში, მოსკოვის ქუჩა № 4. პროვინციის წლიურ ხელის მომწერთ პრემია გაეგზავნებათ ხარჯის ფასდადებით.
ცალკე გასასყიდად „მერანი“ ღირს 2 მანეთი.
პრემიუმში მოთავსებულია:
1. სანდრო შანშიაშვილი—სალამური.
2. ი. გრიშაშვილი—რა კარგი ხარ...
3. ქ. მაყაშვილი—სიკვდილ სიცოცხლის ცეკვა.
4. ინ-ბანი—ცხოვრების მგზავრი. წაგართვი მზეო. გრძნეული ჩანგი. მზიელა.
5. ს. შანშიაშვილი—ბერდო ზმანია.
6. შიო მღვიმელი—მუდამ სევდიანს.
7. ვ. რუხაძე—ამონაკვნესი, ვნახე ქალი.
8. გ. ქუჩიშვილი—ღამე ნატეხი, მერცხლები, ღელვა.
9. ლეო ქიაჩელი—მუხა და ტირიფი.
10. დ. კასრაძე ლვირლვა.
11. ალ. ყაზბეგი—დარო.
12. ტრ. რამიშვილი—ჭკუა მხიარული.
13. დიმიტრი არაყიშვილი—თავისუფალი მარში (ნოტებზე).
წიგნი დასურათებულია მხატვარ ვალიკო სიდამონ-ერისთავის მიერ.
წიგნში ჩართული 4 სურათი სიპ ქაღალდზე და 16 სურათი ტექსტში.

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხაილოვის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობა)
პარასკევს, 27 მაისს, სინემატოგრაფი, საზანდარი
შაბათს, 28 მაისს, სამხედრო ორკესტრი.
კვირას, 29 მაისს, ოპერეტტა რუსულ ენაზე, სიმებიანი ორკესტრი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. სტუმრები შედიან საზოგადო წესით.
3—108—2

## შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
## საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

კბილის ექიმმა
## მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
## ა. დ. შაქაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

დ. ზესტაფონში
ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

## სტუდენტები
ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—9)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—203—1)

## სახალხო სახლი
ძმ. ზუბალაშვილებისა
კვირას, 29 მაისს დღის 1 საათზე
დიდებული მგოსნის **აკაკი წერეთლის** ხსოვნის პატივსაცემლად
გაიმართება
## საშაისო დილა
4-ს განყოფილებად: პირველი **პატარა კახი** მე-5 მოქმედ. აკაკი წერეთლისა
კახი—ტასო აბაშიძე, ტურფა—ნ. დავითაშვილი, გელა—ი. ივანიძე, მეფე—პ. კორიშელი.
მეორე **ცოცხალი სურათი**
დასდგამს კ. ანდრონიკაშვილი. აკაკის გარშემო შემოკრებილი ქულაჯებში ... იოსებ გოძიაშვილის მიერ დაარსებული, ... მომღერალ-მგალობელთა გუნდი, იოსებ გოძიაშვილის მიერ ... დიდებულ მგოსანს: „კურთხეულ იყოს შენი სახელი“.
მესამე **საკონცერტო განყოფილება**
იმავე გუნდის მონაწილეობით.
მეოთხე
## მეჯლისი
„ფანდური“—სათამაშო შესრულებული იქნება დაფით, დაირით და ნაღარით, ტრიო „ტურფავ მოდი“, ცანგალა“ და სხვა. გუნდში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ ბორჯომის ვაქთა გუნდის ლოტბარი შაქრო ტალიკაძე, იოსებ რუისპირელი და ვანო ალთუნაშვილი. დაწვრილებით იხილეთ აფიშებში. ადგილების ფასი სამხედრო გადასახადიანათ 20 კ-ნ 1 მანეთამდე დასაწყ. დღის 1 საათზე. ბილეთები იყიდება ყოველდღე კასაში.
(3—204—2) გამგე ბეგლარ ახოსპირელი.

## წაღვერში
სადგურის მახლობლად, საუცხოვო ადგილას მჟავე წყლის ახლოს,
## ხაჩიძის აგარაკში
მშვენიერ შენობის ზემო სართულში ვიყვან პანსიონერებს მეტად შეღავათიან პირობებით.
10—101—6 პანსიონის გამგე მარიამ ჟვანია.

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
## კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 25 მაისი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** 24 მაისს, ჩვენმა ჯარმა როვნო-კოველისაკენ შეტევა გააძლიერა და ბრძოლით ქ. ლუცკის მიდამოები დაიპყრო, შემდეგ თვით ქალაქი ლუცკიც ხელთ იგდეს. ჩვენმა ჯარმა არამც თუ მდინარე სტირის და იკვის ნაპირები დაიჭირა, არამედ ზოგ ადგილას მეორე ნაპირზედაც გადავიდა და მტრის დევნას განაგრძობდა. გალიციაში, ქვემო სტრიპზე ქვეითა ჯარის მკაცრი შეტევით, რომელსაც არტილერია ხელს უწყობდა, ტრინბუხოვცე-იაზლოვეცის ხაზით მტრის გამაგრებული ადგილები ხელთ ვიგდეთ ჯარი მდ. სტრიპას მიუახლოვდა. იმ ტყვეთა გარდა 40.000 კაცისა, რომელიც გუშინ გვქონდა მოხსენებული, კიდევ დავატყვევეთ 58 აფიცერი და 11.000 ჯარის კაცი, ხელთ ვიგდეთ კიდევ ზარბაზნები, ტყვიისმტყორცნელები, იარაღი და ტელეფონის მასალა. 22—25 მაისის ბრძოლა ვოლინთან და გალიციაშინებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მტრის სიმაგრის ხაზი უკვე გარღვეულია. მდინარე დვინის და დვინსკის სამხრეთით ბევრ ადგილას მკაცრი სროლაა. გერმანელები ზარბაზნებს უშენენ იკსკიულის მიდამოების სიმაგრეებს. გერმანელები რამ-

დენჯერმე შეეცადნენ სმორგონის სამხრეთით მიდამოებში იერიში მიეტანათ, მაგრამ სროლით ყოველგან მოვიგერიეთ. კრევოს სამხრეთით მტრის არტილერიამ ჯოჯოხეთური სროლა ასტეხა.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

—

**პარიზი**, 25 მაისი. დღის ოფიციალი. სუასონის დასავლეთით, ფონტენუასთან ახლოს გავდევნეთ ორი გერმანელი მფრინავი, რომელიც მდინარეზე გადმოფრენას ცდილობდა. ნუკრონის ახლოს, ჩვენმა არტილერიამ მტრის რამდენიმე გამაგრებული ადგილი გაანადგურა. არგონებში ფილმორტთან ახლოს სამი ნაღმი ავაფეთქეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზედ, გერმანელებმა დაჟინებული იერიში მოიტანეს ვოს სიმაგრეზედ; იერიში ცეცხლის მფრქვეველებით მოვიგერიეთ. გერმანელთა არტილერია მედგრად ესროდა ვოს და მის ახლო-მახლო ადგილებს. ჩვენი არტილერია ენერგიულად უპასუხებს მას. ვოგეზებში, ჰაკტმანსვეილერკოპფის ხაზზედ გერმანელებმა იერიში მოიტანეს.

**პარიზი**, 25 მაისი საღამოს ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე, 304" სიმაღლის მიდამოში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. დუომონ-დანლუს შუა მოპირდაპირემ ძლიერი ცეცხლი გააჩინა. გერმანელები იტყობინებიან, რომ ვოს სიმაგრე 24 მაისს, საღამოთი დაიჭირეს. თუმცა 25 მაისს, 3 საათს დილით სიმაგრე ჩვენს ხელში იმყოფებოდა. ვოგეზებში, სელის მიმართულებით მოპირდაპირის მზვერავები გავფანტეთ.

**პარიზი**, 26 მაისი. დღის ოფიციალი. არგონებში, „285" სიმაღლესთან გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს. მაასის მარცხენა ნაპირზე ჩვენი თხრილების მეორე ხაზს, მტერი მედგრად ზარბაზნებს უშენს. მდ. მარჯვენა ნაპირზე, ტიოგინ-დუომონის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. 7 დღის ბრძოლის შემდეგ სიმაგრემ ველარ შესძლო წინააღმდეგობა გაეწია მოპირდაპირისთვის. ფრანგებს შერჩათ თხრილები, სიმაგრის მარცხნივ და მარჯვენა მხარეს. ჰარტმანსვეილერკოფეში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

**ლონდონი**, 25 მაისი. ინგლისის დამატებითი ცნობა ხოოხეს ჩრდილოეთით მოპირდაპირის იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. როკლენკურის ჩრდი- [illegible] ნაღმოსნო გალერეიები დავაზიანეთ. გუშინ ღამით, ინგლისელთა რაზმები გერმანელების თხრილებში შეიჭრნენ და ტყვეები წამოიყვანეს. გუშინდელი უამინდობა ხელს უშლიდა საფრენის მოქმედებას.

ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიმშვიდეა.

**ლონდონი**, 25 მაისი. დღის ცნობა. გუშინ და დღეს იპრის აღმოსავლეთით ძლიერი საარტილერი ბრძოლაა. გუშინ, მტერმა ხოოხეს ნანგრევებს შუა თხრილები დაიჭირა. დანარჩენ ადგილებში მათმა იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. ღამის განმავლობაში, ავსტრალიელ ჯარის რაზმები ჰრენიეს აღმოსავლეთით მდებარე თხრილებში შეიჭრნენ და ტყვეები იგდეს ხელთ. კენის აღმოსავლეთით მტერს მოულოდნელად თავს დავესხით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საზღვაო ომი.**

პარიზიდან იტყობინებიან: პარიზის პრესა აღნიშნავს: საზღვაო ომში მონაწილეობას იღებდა გერმანელთა „დიდი ფლოტი".

გერმანელთა მხრივ თუ რამდენი გემი იღებდა მონაწილეობას, დანამდვილებით არ იციან.

ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ გერმანელთა მხრივ მონაწილეობას იღებდა 90 გემი. ფლოტს წყალქვეშა გემები მისდევდა. ბრძოლაში „ცეპპელინებიც" იღებდნენ მონაწილეობას, რომლებმაც გერმანელებს დიდი სამსახური გაუწიეს.

პირველად ინგლისელების მხრივ მხოლოდ სწრაფი კრეისერები და კონტრ-ნაღმოსნები იღებდნენ მონაწილეობას, რომელნიც მოპირდაპირეს იგერიებდნენ.

ბრძოლა ოთხშაბათს 3 საათზე დაიწყო; პირველად მხოლოდ კრეისერები და ნაღმოსნები ჩაებნენ ბრძოლაში. ხუთშაბათს დილით საშინელი სროლა გაცხოველდა, რადგანაც ბრძოლაში ახალი ძალები ჩაერია. პირველად, ინგლის-გერმანელთა გემები ბრძოლის დროს სამხრეთისაკენ იწევდნენ, მაგრამ მალე გერმანელებმა მიმართულება შესცვალეს, ჰელჰოლანდისკენ მიაშურეს.

ცნობების მიხედვით, პირველად მებრძოლნი დიდის სისწრაფით ჩრდილო-დასავლეთისკენ იწევდნენ, შემდეგ დასავლეთისაკენ და ბოლოს სამხრეთისაკენ. პირველად გერმანელთა შეტევა სასტიკი იყო, რის გამოც ინგლისელები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ; შემდეგ, როდესაც ინგლისელებს ახალი ძალა მიეშველა, გერმანელებმა უკან დაიხიეს და თავიანთ ნავთსადგურს მიაშურეს.

**რიგის ასპარეზი.**

ბოლო დღეებში, გერმანელებმა აურაცხელი ტყვია-წამალი მოზიდეს ასპარეზზე და რუსების სიმაგრეებს საშინელი სროლა აუტეხეს. დვინის და [illegible] სეტყვასავით უშენენ ტყვიას. 19 მაისს, იქსკიულის მიდამოებში გერმანელებმა დაჟინებული სროლა ასტეხეს. მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა ზარბაზნების მოქმედება. რა ძლიერი იყო იგი, ადვილი წარმოსადგენია, რადგან 50 ვერსის მანძილზე მიწა ზანზარებდა. დასავლეთ დვინის მიდამოებში ზარბაზნები ყოველ დღე მოქმედობს. საერთოდ, გერმანელები მეტად მხნედ არიან და ცდილობენ ინიციატივის შენარჩუნებას.

**ტბის მიდამოებში.**

როგორც იუწყებიან, ტბის მიდამოებში ვიშნევო-ნაროჩ-მიაზიოლის ასპარეზზედ გერმანელები ახალ იერიშებისათვის ემზადებიან. ზარბაზნის გრიალი, არც დღით, არც ღამით არა წყდება, მისი გრიალი სმორგონის სანგრებს და ვილეიკას აღწევს.

გარდა ამისა, გერმანელები თხრილებიდან დაჟინებით ისვრიან თოფს და სასკდომ ტყვიას ხმარობენ. მიუხედავად გერმანელების მეცადინეობისა, ასპარეზზედ მდგომარეობა უცვლელია.

**გერმანელი მფრინავები**

გერმანელი მფრინავები მხნედ მოქმედობენ და მოპირდაპირის ბანაკს ჰზვერავენ. ბოლო დღეებში, როგორც უმაღლეს მთავარსარდლის შტაბი იუწყება, გერმანელ მფრინავების ესკადრა, რომელიც 15 საფრენისაგან შესდგებოდა, სწრაფად თავს დაესხა ვილეიკის სადგურს- ვოისტომის დაბას, და 40 ყუმბარა ჩამოჰყარა, ისევე მხნედ მოქმედებენ იგინი ასპარეზის სხვა და სხვა ადგილებში.

**გერმანელთა ფლოტი ბალტიის ზღვაში**

„ნევ იორკ ჰერალდ"-ს კოპენჰაგენიდან დეპეშა მიუღია; გერმანელთა ფლოტი ბალტიის ზღვაში გამოვიდაო. ფლოტში არის რამდენიმე კრეისერი და ახალი ჯავშნოსანი „ჰინდენბურგი", სავაჭრო გემების კაპიტნები ჰმოწმობენ, რომ ფლოტი კილის არხიდან გამოსულა, გაუვლია ფერნერი და რიგის მიმართულებით წასულა. „ტაიმსი" ამბობს: გერმანელთა საზღვაო მოქმედებიდან სჩანს, რომ გერმანეთის ფლოტი რუსთა მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადება. გაზეთის ცნობით, გერმანელებმა ზუნდში და ბელტში ნაღმები ჩააწყეს და რიგის სრუტის დაპყრობას შეეცდებიან.

**გერმანეთის ფლოტი**

„ჰუმანიტე" სწერს: დღეს გერმანელებს 220 წყალქვეშა ჰყავთ. ასეთი სიძლიერე გერმანელთა წყალქვეშა ნავებისა, კერძოდ საფრანგეთისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ამისთვის ფრიად საჭიროა ამის წინააღმდეგ ენერგიული ზომები მივიღოთ. გაშლილ ზღვებში, გერმანელების წყალქვეშას წინააღმდეგ საჭიროა გავეყვანოთ მსუბუქი გემი, 10 სანტიმეტრიან ზარბაზნებით შეიარაღებული, [illegible] ბა უნდა გაუმრავლოს.

**საბერძნეთის უარი.**

„ოსმან. ლლოიდ" იტყობინება: ინგლისმა საბერძნეთს წინადადებით მიჰმართა, მცირე ხნით დაუთმოს სალამინის ნავთ-სადგური ხმელთაშუა ზღვის ფლოტის საჭიროებისთვის. ინგლისის წინადადება გაარჩია მინისტრთა საბჭომ, საზღვაო შტაბის და ადმირალ კონდურიოტისის თანადასწრებით, გადასწყვიტეს უარი შეუთვალონ ინგლისს, რადგანაც ფლოტის გაწმენდა და შეკეთება, რისთვისაც ინგლისსა სჭირდება თურმე ეს ნავთსადგური, სალონიკსა და მუდროსშიაც შეიძლება.

**სალონიკს ბულგარეთს ჰპირდებიან.**

ბულგარელთა ოფიციოზები დიდის ყურადღებით ეკვევიან სალონიკს და მის მომავალს. ამით იგინი ამტკიცებენ, რომ ბულგარეთის არსებით ინტერესი მოითხოვს, სალონიკი სამუდამოდ ბულგარეთს მიესაკუთროს. მას შემდეგ, რაც გერმანელების უმთავრესი ძალა ბალკანეთიდან გაიკრიბა და ბულგარელებმა სალონიკში გაილაშქრეს, სოფიის წრეებში დაჟინებით ამბობენ: გერმანეთი სავსებით ეთანხმება ბულგარეთის სურვილს და სალონიკსაც უთუოდ დაუსაკუთრებს თუ ბრძოლის საქმე კარგად წავიდაო.

**გერმანეთის საზღვაო შტაბი საზღვაო ომის შესახებ**

ბაზელიდან მოსული ცნობით, ვგებულობთ, გერმანეთის საზღვაო შტაბის ოფიციალ ცნობას: გერმანეთის მებრძოლი ფლოტი განსაზღვრულ მიზნისათვის შუაღლისას ზღვაში გავიდა ჩრდილოეთის მიმართულებით. აქ შეჰხვდა ბევრად ძლიერი ინგლისელთა საზღვაო ძალას. ბრძოლა 12 საათზე სკაგერაკ და გორნ-რივის შუა დაიწყო, რომელიც საღამომდე გაგრძელდა. სასტიკი ბრძოლა მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. ინგლისელებმა დაჰკარგეს ერთი დრედნოუტი ორი ჯავშნიანი კრეისერი, ორი კიდევ სხვა ჯავშნიანი კრეისერი „ახალის" ტიპის, მრავალი ნაღმოსანი და კონტრ-ნაღმოსანი. ინგლისელებმა ბრძოლაში მრავალი წყალქვეშა და დიდი მებრძოლი გემები ჩაურიეს. გერმანელებმა დაჰკარგეს ჯავშნიანი გემი „პომერანი", კრეისერი „ვისბადენი" და „ფრაუენლობ" და რამდენიმე ნაღმოსანი და კონტრ-ნაღმოსანი.

გერმანეთის ოფიციოზი დასძენს: გერმანელებმა შესძლეს ინგლისის საზღვაო ძალის დაძლევა და ზღვაზე თავისუფლების მოსაპოვებლად წინ წაიწიეს.

**რაიხსტაგი და გერმანეთის პრესა.**

რაიხსტაგის კრება გაიხსნა პრეზიდენტ კემპფის სიტყვით. პრეზიდენტი შეეხო გერმანეთის ფლოტის გმირობას და იმ გამარჯვებას, რომელიც მას ჩრდილოეთ ზღვაზე ჰხვდა წილად. [illegible] პარტიებისა, ტაშის ცემით შეჰხვდნენ პრეზიდენტის სიტყვას.

თუმცა გერმანეთის პრესამ ზღვაზე ბრძოლა დიდ გამარჯვებად აღიარა, მიუხედავად ამისა, ძალთა განწყობილება ზღვაზე მოპირდაპირეთა შორის ძველ პირობებში დარჩა.

## ბრძოლის ველზე

გენერალ ადიუტანტი ბრუსილოვი ეხლა მოდაშია. მისმა თამამმა ნაბიჯმა აალაპარაკა რუსეთი და მთელი ქვეყანაც. ეს სწორედ რომ მისწრებაა. ამდენი ხნის ქრუნტელ მომვრელ მდგომარეობას ერთგვარი შემსუბუქება ეღირსა. ავსტრიელთა მარცხი დიდადა სჩრდილავს გერმანელთა გამარჯვებას სხვა და სხვა ფრონტზე. მთავარი შტაბის მოხსენება ტყვეთა რიცხვს კიდევ უმატებს 58 ოფიცერს და 11 ათასს ჯარისკაცს. დაახლოვებით, მაშასადამე, წინანდელ რიცხვთან ერთად შეადგენს 55 ათას კაცს. ეს ისეთი საგრძნობი დანაკლისია, რომ ავსტრიელნი საგონებელს მიეცემიან და უნებურად იტალეთის ფრონტზე შეაჩერებენ შეტევას, რათა განადგურებისაგან იხსნან დაზარალებული არმია.

რაც შეეხება ვერდენს, აქ მდგომარეობა გართულდა. კიდევ ერთი უდიდესი ბურჯი წამოიქცა, ფორტი ვო, ვოს დაკარგვა ფრანგთათვისს გაცილებით საგრძნობელია, ვიდრე დუომონის დაკარგვა. ადგილმდებარეობა ამ ფორტისა უდრიდა „399" მეტრს, იგი უფლობს მთელს აღმოსავლეთის სექტორს და ზემოდან დასცქერის თვით ციხე-ვერდენს. შვიდი დღის იერიშები გერმანელთა გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა უნდა ისიც ითქვას, რომ გამარჯვება მეტად და მეტად ძვირად დაუჯდათ. ფრანგთა მოხსენება თითქმის ყოველთვის იხსენებდა თუ მოიერიშეთ როგორა სცელავდნენ არტილერიისა და ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით, აქვე უნდა შევნიშნოთ ვოს ფორტის აღება პირდაპირ არ არის მოხსენებული დღევანდელს ბიულეტენებში, მაგრამ თვით ყრუდ ნათქვამი სიტყვები „მარჯვენა ნაპირზე ძლიერი საარტილერიო სროლაა, ტიომონ-დუომონის რაიონში. შვიდი დღის გაშმაგებული ბრძოლისა და შეუწყვეტელი იერიშების შემდეგ გარნიზონის ძალა ამოიწყვიტა და ველარ შესძლო ზარბაზნის სროლით განადგურებულ სიმაგრის შენარჩუნება. ფრანგებს ფორტის მარჯვენა და მარცხენა მისავალ კარის თხრილები დაუკავიათ" და სხვა. ეს ნათქვამი, ვიმეორებთ, ეკუთვნის სწორედ ვოს და არა სხვა რომელიმე ციხე-სიმაგრეს. მთელი კვირე სწორედ ბრძოლა ამ ფორტის გარშემო იყო. მაასიის დასავლეთ ნაპირიდან ცენტრი სიმძიმისა გერმანელებმა აღმოსავლეთით თუ გადმოიტანეს მხოლოდ და მხოლოდ დალნუ-ვოს დასაპყრობად, რასაც მიაღწიეს კიდეც დიდი მსხვერპლის გაწირვის შემდეგ. რომ ეს ასეა, ანგარიშში არა ვსცდებით, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ღამის დეპეშა სწორედ მის გარშემო იძლევა ცნობებს. აქ ნათქვამია სხვათა შორის: „გერმანელებმა გამოაცხადეს ფორტი ვო 24 მაისს ავიღეთ საღამოთიო, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ დილის 3 საათზე 25 მაისს ხსენებული სიმაგრე ჩვენს ხელში იყო ამ დღიდან მოყოლებული საშუალება მოვცესპო პირდაპირ ფორტთან დამოკიდებულება გვქონდა, რადგანაც გერმანელთა არტილერია ამის ნებას არ გვაძლევდაო".

ცხადია, ფრანგებს ფორტი დაუტოვებიათ 25 მაისს, მისი დაცვა შეუძლებელი ყოფილა, ხოლო შედეგში დღევანდელ მოხსენების თანახმად გერმანელთა მიერ ფორტის დაჭერის ამბავი ჰგულისხმობს სწოლედ ვოს და არა სხვა რომელიმეს.

იპრის გარშემო ბრძოლა არ დამცხრალა. გერმანელები კვლავ იერიშებით მოიწევენ, თუმცა ბრძოლის უკანასკნელი ხაზი საგრძნობლად არ შეცვლილა.

X.

## თბილისი, 28 მაისი.

**კანცლერის სიტყვა.** ერთი საუკეთესო მომენტი იყო რომ გერმანეთის მთავრობას ზავის შესახებ საქვეყნოდ, რეიხსტაგის ტრიბუნაზედ, სიტყვა ჩამოეგდო. ხანგრძლივმა შეუპოვარმა შეტევამ და მრავალის ეპიზოდურის გამარჯვებით მოსილმა ბრძოლამ ვერდენის რაიონში; იპრზე ინგლისელების წინააღმდეგ ძლევამოსილმა შეტევამ და იუტლანდიის მახლობლად ზღვაზე მომხდარ ბრძოლაში გერმანელთა ესკადრის ეპიზოდიურმა გამარჯვებამ,—შექმნა მეტი არ უნდა ისეთი ხელსაყრელი მომენტი, როდესაც გერმანეთს შეეძლო თამამად, თავის საერთო მდგომარეობის შეუბღალავად, ზავის მოსურნედ გამოსულიყო და გერმანეთის კანცლერმაც ეს მომენტი ხელიდან არ გაუშვა. კანცლერი ზავის მომხრეა, მას არ სურს „ზედმეტი სისხლი ანთხევინოს ევროპის ხალხს".

კანცლერის სიტყვით დღეს გერმანეთს უკვე მოგერებული ჰყავს თავდამსხმელი მტრები და მას არავითარი შიში არ მოელის. ასეთ პირობებში რატომაც არ უნდა გამოიჩინოს დიდსულოვნება გამარჯვებულმა მტერმ და არ მოუწოდოს მოპირდაპირეთ ზავის შესაკვრელად.

მაგრამ გამარჯვებულის ამ დიდსულოვნებას ზედ ერთვის ერთი ულმობელობა, აუცილებელი პირობა ზავის შესახებ მოლაპარაკების დასაწყებად. გერმანეთმა ამ გვარ პირობად დასახა სამხედრო მოქმედებათა არსებული რუკის დაცვა. ამ გვარის წინადადებით გერმანეთი ამ ნახევარ წლის წინადაც გამოვიდა, როგორც ამას წმუნება თავის ეხლანდელ ! იმპერიის კანცლერი.

იმპერიის კანცლერი დღევრობას უდებს საძირკვლად მოლაპარაკებას. ეს პირობა კი მიუღებელი არის გერმანეთის მოპირდაპირეთათვის, რომელნიც ამგვარ ზავს არ იწყნარებენ და ცდილობენ ეს რუკა მათდა სასარგებლოდ შესცვალონ. მაგრამ, როგორც იმპერიის კანცლერი აღნიშნავს, რაც დრო მიდის ეს რუკა

---

## მგოსანი მსოფლიო მწუხარებისა

**ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია**

**1816—1845 წ.წ.**

ნიკოლოზ ბარათაშვილი—ეს საქართველოს განთიადის წინამორბედი ვარსკვლავია, რომლის მოციმციმე შუქი უნათებს გზას ყოველ შეგნებულ ქართველს, ვისაც კი არ დაჰკარგვია სასოება ჩვენი სამშობლოს უკეთესის მომავლისა:

რაოდენი ცხარე გრძნობა უდროვოდ ჩაკლული საფლავში, რაოდენი მაღალი ფიქრნი და ზრახვანი, რომელთა მოწამე იყო იქნება მარტო მთა-წმინდა, რაოდენი გასაფურჩქნი კოკორი უდროვოთ დამჭკნარი, რაოდენი დამსხვრეული იმედი და სასოება—არის დაკავშირებული ამ წმინდა სახელთან და ის ცოტა რამ, რაც ჩვენმა მგოსანმა მოასწრო და შექმნა თავის მოკლე დღეთა რიჟრაჟზედ, რა ძლიერია, რა მომხიბლავია!

ამისთანა ბრწყინვალე ვარსკვლავის ამოსვლა საქართველოს ცაზედ ჩვენი ცხოვრების იმ შავ-ბნელ დროში, როდესაც მთელი ერი თითქო სამუდამო ძილს მიეცაო, თითქო სიცოცხლე შესწყდაო და ხალხის მაჯა აღარა სცემსო, იყო ისეთივე გასაკვირველი, ისეთივე მოულოდნელი, როგორათაც უეცარი ჭექა-ქუხილი მოწმენდილ, მოკამკამე ცაზედ.

მაგრამ ეგრე სჩანდა პირველი შეხედულობით, ნამდვილად კი ხალხის გულის სიღრმეში შეუმჩნევლად, მაგრამ დაუძინებლად მუშაობდა ძლიერი სული, ხალხის ზღვა გული ყრუდ ღელავდა, იქ იკვერებოდა ახალი ცხოვრება, იკრიბებოდა ახალი ძალები, და მერე ამ შეგუბებულმა, შეხუთულმა სულმა ხალხისამ უცბათ იფეთქა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახით.

აკი ამიტომ მთელი პოეზია ბარათაშვილისა არის ხალხის შეწუხებული გულიდამ ამონახეთქი ვაება და გოდება, იგი არის მძლავრი პროტესტი დაჩაგრულის, გვემული სულისა. ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო დაუღალავი მებრძოლი ადამიანისა და ერის დათრგუნვილ უფლებათა; იგი მოევლინა თავის ქვეყანას როგორც მფარველი ანგელოზი, ისიყო „ცის ცვარი, რომელმაც განაცოცხლა შავარნო, მდელო სიცხითა დამჭკნარი."

ჩვენმა მგოსანმა, როგორც დიდ-ბუნებოვანმა არსებამ, მალე იგრძნო თავისი სულიერი ძალა, მალე იგრძნო თავისი მაღალი დანიშნულება თავისი ერისთვის და ერთს თავის ლექსში ასე წინასწარმეტყველებს თავის თავზედ:

«მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი
ჩემს დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი,
განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ
ტყეთა ფრინველნი და ვარდი».

წინასწარი სიტყვა პოეტისა სრულიად გამართლდა; მართლაც ის იყო მზე, რომელიც ათენებს დილას; დიახაც ის იყო წინამორბედი ვარსკვლავი, რომლის ამოსვლას ელოდა მთელი საქართველო.

მგოსანს სჯერა, სწამს თავის ბედის ვარსკვლავი; მართალია, იგი ვარსკვლავი ზოგჯერ მრისხანებს, ზოგჯერ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებს ხოლმე, მაგრამ პოეტი დარწმუნებულია, რომ ბოლოს გამოიდარებს და ციურს ცეცხლს მიანიჭებს მას.

მართლაც რომ ბედის ვარსკვლავმა მიანიჭა მას ციური ცეცხლი; მგოსნის ყველა ქმნილებაში, ყველა მის სიტყვაში თქვენ გესმით, თქვენ გრძნობთ მომხიბლავ, წარმტაც ძალას, რომელიც უნებლიეთ იზიდავს თქენ არსებას.

მგოსანთან ერთად თქვენ განიცდით ადამიანის გულის ტრაგედიას, სულისკვეთებას შეგნებული პიროვნებისას, რომელიც ჰგრძნობს თავის სულიერ ძალას, რომელსაც აქვს კიდევაც ფრთები საფრენად, მაგრამ მწარე ბედისაგან იგი მიჯაჭულია მიწაზედ.

ეს შინაგანი იდუმალი ხმა, რომელიც მუდამ ჩასჩურჩულებს მგოსანს ყურში და იწვევს მას სამოქმედოთ, ეს შინაგანი შეგნება თავისი სულიერი სიძლიერისა, თავის სულის სიმტკიცისა ერთის მხრივ, მეორეს მხრით ეს შავ-ბნელი სინამდვილე, რომელიც შავი ყორანივით დასჩხავის მას, რომელიც უშხამავს კაცს გულს და უკრავს მას ხელ-ფეხს, ეს მუდმივი დაუსრულებელი ბრძოლა კაცის სულის მკაცრ სინამდვილესთან სასოწარკვეთილებაში აგდებს მგოსნის მთელ არსებას და ავსებს მის გულს. მწუხარებით და ვაებით; ამ განუზომელი მწუხარებით და ვაებით არის გაჟღენთილი მთელი პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

რაც უფრო ცა მოჰმუხვნილია შავი ღრუბლებით, რაც უფრო მეტათ ჰქუხს, რაც უფრო მწარეა სინამდვილე, მით უფრო ჩვენი მგოსანი გულ-ჩათხრობილია, მით უფრო იგი გულ-ჩაკეტილია. რაკი მგოსანი არ ელის შველას გარედან, იგი ემყარება თავის შინაგან საკუთარ ძალზედ, მას აქვს იმედი მხოლოდ თავის-თავისა, ეს იმედი მხოლოდ თავის-თავისა უფრო ურიკეცებს მას სულიერ-ძალღონეს დ უკაჟიანებს გულს. მგოსანი შორდება სინამდვილეს და აქედან გარედან ადევნებს მას თავის ნაღვლიან თვალს.

აქედან წარმოსდგება მგოსნის სულის ობლობა; ეს ის სულის ობლობაა, რომელზედაც, მგოსნისავე სიტყვით, უსაშინელესი არა იქნება რა. ადვილი ასახსნელია მისი სულიერი ობლობა; გარშემო პირნი და მგოსანი სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ; გული მისი რბოდა სხვაგან, იგი ეძებდა „ცის იქით სადგურს"; ფიქრი მისი მიჰქროდა შორს, შორს.

აქედანვე, მგოსნის ამ გულჩაკეტილობიდან წარმოსდგება მისი უსაზღვრო სიყვარული ბუნებისა, იმ ბუნებისა, რომელიც მასავით გულახდილია, მუდამ უცვლელია, მუდამ მშვენიერია. ბუნებას იგი ელაპარაკება, როგორც თავის გულითადს მეგობარს. მტკვრის დუდუნი, რომელსაც იგი ყურს უგდებს იდაყვ-დაყრდნობილი და „თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა", მგოსნის გულს ბევრს რასმეს ეუბნება; მტკვრის დუდუნში მას ეხატება მრავალ-ტანჯული ისტორია მისი ერისა; მგოსანი თავისი შორსმჭვრეტელი თვალით იხედება საუკუნეთა სიღრმეში და იქ ხედავს ნიშნებს მომავლისასაც.

იგი მიისწრაფის მთაწმინდისაკენ, სადაც „ყველა ლამაზია და მინაზებული", გარემონიც, ყვავილებიც, რომელნიც „აკმევენ სუნნელებას, ვითა გუნდრუკსა „სამადლობელსა", თვით მთვარეც „ნაზად მოარე, დისკო გარდახრით შუქ მობინდული". იგი ეტრფის მთაწმინდას, რადგან ის მისავით მწუხარია და სევდიანი. ეს ბუნება, ეს ცა მოაგონებს მას, რომ არის სხვა უფრო უკეთესი ცხოვრება, ვიდრე მის თვალწინ გაშლილი სინამდვილე, აკი იმიტომ პოეტი ეძებს „სადგურს ცის იქით" მგოსანმა კარგათ იცის, რომ მხოლოდ შინაგანი სულიერი ძალა და მხოლოდ ეს მშვენიერი მუდამ უცვლელი ბუნება თავდებნი არიან იმისა, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს".

აკი ამიტომ მგოსანი ეტრფის ამ დიად გამაცოცხლებელ ბუნებას, ამიტომ მოილტვის აქეთკენ, აქ ისვენებს მისი მაღალი სული, აქ, ამ ბუნების გულში ჩახუტული იგი ჰკრეფს თავის ძალას, რომ მერე გაუმკლავდეს „მუხთალ სოფელს".

მხოლოდ ეს გულ-დამწვავი მწუხარება, ეს სევდა, რომელიც დასწოლია მგოსნის გულს, ეს ანკარა საყვარული ბუნებისა, ეს სულის ობლობა არის გარეგანი გამოხატულობა, გარეგანი ფორმა, გარეგანი კანი მგოსნის მსოფლ-მხედველობისა, მისი დედააზრისა. ეს ხორცი, ეს დედა-აზრი, ეს შინაარსი მისი პოეზიის არის მშვენიერება სულისა. ამ დედა-აზრს დაჰხარის და დასტრიალებს ჩვენი პოეტი.

ეს მშვენიერება სულისა არის თავისუფალი სული ადამიანისა, კაცის შინაგანი სულიერი სიმდიდრე, იგი არის სიმტკიცე გულისა და მოუდრეკელობა მისი შავის ბედის წინ. ამ მშვენიერებას სულისას მგოსანმა აუგო უცხო მომხიბლავი ტაძარი, რომელშიაც იგი მუდამ ლოცულობს მუხლ-მოდრეკილი; ამ ტაძარში იგი „გუნდრუკის წილ შესწირავდა წმინდა სიყვარულს, რომლის საკურთხად იგი დასდებდა თავის გულსა და სულს".

აი ამ სულის მშვენიერების ტაძარში მგოსანმა შეჰკმაზა თავისი ჰაეროვანი მერანი, აქ ჩაუდგა მას სული, აქედან მიაჭენებს, მიაქროლებს მას. მხედარს უჭირავს მაღლად ამართული დროშა თავისუფალი სულისა და მიაჭენებს თავის მერანს; მის მშვენიერსა, ალტაცებულსა, გიჟურსა ლტოლვას არა აქვს სამზღვარი.

არ დაბადებულა ისეთი ძალა, რომ გადუდგეს წინ მის გამალებულს მხედარს და შეაჩეროს დაუდგრომელი ჭენება. მხოლოდ ერთი აზრი უშუქებს გზას ამ თავგამეტებულ მხედარს, მხოლოდ ერთი ფიქრი ანუგეშებს მას:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება
და გზა უვალი შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება".

ჩვენ ეხლა ასის წლის შემდეგ ვიცით, რომ ხმა ნიკოლოზ ბარათაშვილის—არ დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რომ ტყუილი არ იყო ეს განწირულის სულის კვეთება, რომ ტყუილად არ იყო განვლილი ეს ძიმწარის გზა ჭეშმარიტების ძებნისა, ჩვენ ვიცით, რომ იმ გზას, რომელიც პირველად გადათელა მგოსნის შეუპოვარმა მერანმა, დაადგა მთელი შეგნებული ქართველობა, რომ ეს გზა მის შემდეგ გაადიდეს და გაალრმავეს მისმა თანამოძმეებმა. ასის წლის შემდეგ ჩვენ ვიცით, რომ „ბედი ქართლისა", რომელიც აგრე აკვნესებდა მგოსნის გულსა, უზრუნველ-ყოფილა მომავლისათვის სულიერათ მაინც.

ეს დაულეველი სევდა და მწუხარება, ეს განწირულის სულის კვეთება, ეს ობლობა სულისა, ეს დაუსრულებელი ძებნა და კვლევა გზისა, ეს მოუსვენარი, შეუპოვარი და მოუდრეკელი

გერმანეთის სასარგებლოდ იცვლება და რაც მეტს დაახანებენ გერმანეთის მოწინააღმდეგენი მით უფრო ზავის მკაცრ პირობებთან ექნებათ საქმეო. დღეს დღეობით გამარჯვებული ბეთმან ჰოლვეგი ზავის ერთობ მკაცრ პირობებს ჰკარნახობს. თუ გნებავთ, ამ პირობებში შევთანხმდეთ თუ არა და საბოლოო გამარჯვებამდე ვიბრძოლებთო. ჯერ ჯერობით გაუდის და მზობს. მომავალი მაინც გამოუცნობა ჯა და მუდამ საეჭვო.

## ებრაელები და ქართველები

„იკურთხოს უფალო სახელი შენი რამეთუ დიდია განგება შენი". ასე ამოიძახა ჩემმა გულმა როცა ორი უბერება ერთად გავიგე ახლანდელ მგზავრობის დროს: ქ. ნიუიორკში გარდაიცვალა ებრაელის საყვარელი ცნობილი მწერალი შალომ ყალეხემ რაბინოვიჩი. ამავე დროს გარდაიცვალა ქართველი ერის საყვარელი ცნობილი მგოსანი იროდიონ ევდოშვილი.

ეს ორი ადამიანი, დაშორებულნი მანძილით, ენით, სარწმუნოებით და და ეროვნებით დიდად დაახლოვებულნი არიან თავისი სულიერი განცდით ევდოშვილი არის ტანჯული ხალხის მოყვარე, მათზე დარდობს, მათზე სტირის და მათთვის ნუგეშის ძებნაშია. დაჩაგრული ერის მდგომარეობა მას ჩანგს აღლებინებს და ცრემლებს ცრემლით უნამავს. როცა ჰკითხულობ მის ლექსებს „ისმინე ერო ისრაილისაო" ან „ტირილი ისრაელისა" ისე ჰგრძნობ, თითქოს ფურცლები იროდიონის ცრემლით არის დამბალი. ჰკვირობ, იოცებ და ამბობ, რამ წაიყვანა ქიზიყელი იროდიონი შორეულ იერუსალიმში? და უნებურად გებადება პასუხიც: იროდიონი ქართველი ერის ძლიერი მოყვარული ნაღვლობს, სტირის მის ბედს, იგი ეძებს სხვა ერებში მის მზგავსს მრავალტანჯულს ერს, რომელსაც გაუცდია ქართველ ერს თვისი ბედი და რაკი ვერ ჰპოვებს მას აწმყოში, ეხვევა ისტორიის ფურცლებში, როდესაც მიადგება ებრაელთა გაოხრების ხანას, რომაელების ხელით უსამართლოდ ნგრეულს, აი სწორედ აქ პოულობს მგზავს, ტოლს და ამხანაგს ტანჯვაში: და უცებ მისი სუფთა გულიდან ისმის საშინელი ძახილი „ისმინე ერო ისრაილისავ"... იგი ამ ძახილით ჰხატავს თავის კაცთა მოყვარეობას და ამითი უახლოვდება ებრაელის ღვაწლს. ეს ჩვენი მახლობელი იროდიონი აღსავსე სევდით მოძლვრის ტანჯვით სტოვებს თავის საყვარელ ხალხს ტანჯულს და სამუდამოდ მიდის მათგან...

ასეთი იყო შალომ რაბინოვიჩიც. იგი დიდი მოსიყვარულე და ერთგულია მშრომელი ხალხისა, მას გმირებში ბედნიერი ცხოვრება მხოლოდ მშრომელ ხალხის ოჯახშია, მიუხედავად იმისა, რომ დიდი გაჭირვებით ცხოვრობენ. საკმარისია წაიკითხოთ მისი გმირი სოფელ ქათრიელკისა, რომელიც ექვს დღე დაუღალავად მუშაობს და მისი პირიდან მხოლოდ უფლის ქება ისმის და როცა იგი შაბათ ღამეს ლოცვიდან ბრუნდება ცოლ-შვილთან და ვახშამს მოუჯდება, ამაყათ იძახის: მეტს რა სიამოვნებას მიიღებს როტშილდი ჩემზეო, მხოლოდ ერთში შეუძლია მაჯობოსო გაჭირვებულ ხალხს მეტ სარგებლობას მოუტანს ჩემზეო და სწორეთ ამაში კი ვცნობ ჩემზე დიდათო...

როცა მისი მეორე გმირი პოლონეთის გრაფს გზაში შეჰხვდება და კანკალით სალამს უძღვნის, გრაფი მას დასცინის: ნეტა რათ გაჩნდენ თქვენისთანა დაბალი ხალხიო. ებრაელი უპასუხებს: მიტომ რომ ზნეობრიობა ვასწავლოთ თქვენისთანა ბრწყინვალე გრაფსაო.

შ. ყ. რაბინოვიჩის ყველა ნაწერებიდან სჩანს მხოლოდ ნუგეში მშრომელი ხალხისა, თუ ნივთიერი შეძლება არ არის, ზნეობრიობა არისო და მიტომ მას უყვარს ტანჯული ხალხი არა მარტო ებრაელებისა, არამედ ყველა ერისა. უფრო დიდი სიყვარული მას ქართველი ერისა ჰქონდა. თავის ნაწერებში დიდს ცოდნას იჩენს ყველა ერებისა. 18 წლის წინათ, როდესაც ქ. კოვნოში ვსწავლობდი, ნაკლებად ვიცნობდი მწერლობას. ჩვენს სასწავლებელში დიდი მზადება იწყეს. „სტუმარს ველით, რომელიც ძალიან გვიყვარსო". ეს სანატრელი სტუმარიც მოვიდა. ქ. კოვნომ დიდი ამბით მიიღო. ვაკვირდებოდი მის გარეგნობას, ფიზიანომიას და რა კი ძაან თვალადი და თმიანი იყო, ნამეტნავად მიზიდავდა. როცა ლექცია წაიკითხა ჩვენს სასწავლებელში, მაშინ კი მისმა დიდმა ნიჭმა დიდი ცვლილება მოახდინა ჩემში. ვნატრობდი მის პირადად ნახვას მაგრამ ამაოდ, ვინ მიმიშვებდა. მეორე დღეს კაცი მოვიდა და მითხრა: თქვენ გთხოვენ შალომთან მოდითო. მე ამან გამაკვირვა, რათ მეძახიან ან და ვის მოვაგონდი ამ დიდ კაცებთან ასე პატარა მოწაფე. დიდი სიამოვნებით გავეშურე მისკენ. როცა შევედი, მაშინვე მკითხა:

— თქვენ საქართველოს ებრაელი ხართო?

— დიახ!

— ოხ რა ბედნიერი ვარ ამ შემთხვევითაო, მე მინდა მიამბო ქართველი ერის ამბები, მათი სულისკვეთება, მისწრაფება დღევანდელ დროში.

როცა უპასუხე, პატარა წამოვედი იქიდან და არაფერი ვიცი მეთქი, ძლიერ შეწუხდა და მითხრა: „იცით, თქვენი პირდაპირი მოვალეობაა, ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი მონაწილეობა მიიღოთ, აღზარდოთ იმისთანა შვილები, რომ გაამდიდრონ მათი ლიტერატურა, ძმობა, ამხანაგობა გაუწიონ ყველაფერში. ჩვენი ერი იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც დიდს ტანჯვას განიცდიდა, ერთგულად ასრულებდა თავის მამულიშვილობასა. აძლევდა საუკეთესო ნიჭიერ შვილებს ყველა დარგში. და თქვენ ხომ არაფერი გაჭირვება, დევნა არ განგიცდიათ ამ კეკლუც ერთანაო. უფრო მეტი ვალი გაქვთ, რომ მათ წინსვლას ყოველი ძალი და ღონე შესწიროთ".

(დასასრული იქნება)

ონის ებრაელების რაბინი

დავით ბააზოვი

გაზ. „საქართველო"-ს კანტორისაგან

საჭიროა გაზეთის აგენტები

ყველა ქალაქსა და დაბა-სოფლებში. მსურველთ მიჰმართონ „საქართველოს" კანტორას (თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 4. სახლი გაბაშვილისა)

## დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

რუსეთის ასპარეზზე რუსის ჯარმა წინ წაიწია როვნო-კოველის ხაზით რასაც ქ. ლუცკის აღება მოჰყვა. ამ ადგილებში რუსებმა კიდევ წამოიყვანეს ტყვედ 11.000 ჯარის კაცი და დიდი დავლაც იგდეს ხელში.

—

მდ. დვინთან და დვინსკთან საარტილერიო ბრძოლაა.

—

ვერდენის ასპარეზზე გერმანელებმა ვოს სიმაგრეზე მკაცრი იერიში მიიტანეს. გერმანელებმა 24 მაისს გამოაქვეყნეს ვოს აღება, მაგრამ ფრანგთა ოფიციალი ცნობით 25 მაისს ვო ისევ მათ ხელში იყო.

—

ტიომონ-დუომონის მიდამოებში გერმანელებმა იერიში მიიტანეს. ფრანგები ამ ადგილებში იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

—

იპრის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლაა; გერმანელები სოფელ ხოოხეში შეიჭრნენ და თხრილები დაიჭირეს.

—

ინგლისის მეფეს მრავალი სამძიმრის დეპეშა მოსდის კიტჩენერის დაღუპვის გამო.

—

გერმანეთის რეიხსტაგმა დაადასტურა მეხუთე სამხედრო სესხი 12 მილიარდი მარკა, ომის საჭიროებისათვის.

## დეპეშა

ქუთაისი. 26 მაისს ქუთაისში პალატის სესია ნ. ნიკოლაძის საქმის გარჩევას შეუდგა. ბრალსა სდებს ლებედინსკი. ნ. ნიკოლაძის დამცველებად არიან კარაბჩევსკი და კულიშერი. პირველ დღეს საბრალმდებლო ოქმი წაიკითხეს.

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება: „რომაელ ქალთა გართობა", ბებუთოვების წინაპარი — ს. ერისთავისა, ალ. სუმბათაშვილის პატივსაცემლად გადახდილი ნადიმი, მაჯლაჯუნა—მუსაევისა, სხვა და სხვა სურათები ბრძოლის ველიდან, ომში დაჭრილნი და ოთხი კარიკატურა. ლექსები: ნ. ჩხიკვაძისა და გ. ლეონიძისა. მოთხრობა მელანიასი.**

## ახალი ამბავი

**სასახლეში.** მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს სასახლეში სადარბაზოდ წარუდგა ნიჟეგოროდის ცხენოსანთა რაზმის პოლკოვნიკი დავით ზაქარიას ძე ჭავჭავაძე, რომელიც დარბაზობის შემდეგ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

✦ **უმაღლესი ჯილდო.** მეფის ნაცვლის ბრძანებით ებოძათ წმ. ვლადიმერის ჯილდო 4 ხარისხისა პოლტავის ყაზახთა რაზმის დეკანოზს დიმიტრი ვარდიაშვილს.

წმ. ანნას ჯილდო 2 ხარისხისა: ყუბანის პლასტუნთა ბატალიონის სოტნიკს თ-დ მიხეილ ვაჩნაძეს.

წმ. ანნას ჯილდო 4 ხარისხისა — სამთო საარტილერიო ბრიგადის პრაპორჩიკს ვარლამ ჭიჭინაძეს.

წმ. სტანისლავის ჯილდო 2 ხარისხისა: სამთო-საარტილერიო ბრიგადის შტაბს კაპიტანს თ-დ ირაკლი ჯორჯაძეს.

წ. ვლადიმერის ჯილდო ხმლით ბაქოს ქვეითა ჯარის პოლკის პოდპორუჩიკ ტარას ვაშაძეს. კაპიტნებს: გიორგი მებუკეს, პოდპორუჩიკ დავით სეხნიაშვილს, განჯის ქვეითა ჯარის პოდპოლკოვნიკ თ-დ არჩილ ციციშვილს და პრაპორჩიკ ალექსანდრე არშინაშვილს.

✦ **სიონის კარმიდამოს გამშვენიერება.** საგანგებო კომიტეტმა, რომელიც სიონის ტაძრის კარმიდამოს გამშვენიერების საქმეზეა შემდგარი, ამ ტაძრის ახალ გალავნის პროექტი გადასცა განსახილველად ქართველ მხატვართა საზოგადოებას არქიტექტურულ სტილის გამოსაკვლევად.

✦ **ქართ. კულტ. მოყვ. საზ. გამგეობამ** თავის უკანასკნელ სხდომაზე 24 მაისს დაადგინა ეხლავე აუცილებლად შეუდგეს განზრახულ ქართველ მოღვაწეთა აგარაკისათვის ადგილის შოვნას და შეძენას. მაგრამ, რადგანაც თვით აგარაკის ადგილის შესახებ მას სულ სხვა და სხვა წინადადებები მოსდის, რომლებშიაც ზოგნი არჩევენ სურამს, ზოგნი წაღვერს, სხვები ქვიშხეთს, სოხუმს და სხვ., ამიტომ გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს 29 მაისს ქართველ ექიმთა, ხუროთმოძღვართა და სხვა მცოდნე და დაინტერესებულ პირთა საგანგებო კრება საბოლოვოდ გამოსარკვევად იმისა, თუ **სად აშენდეს** განზრახული აგარაკი, **რა ტიპისა უნდა იყოს** იგი, **როგორ გეგმაზე** უნდა აშენდეს და სხვა. კრება მოხდება 29 **მაისს**, ექიმთა საზბის დარბაზში (ალექსანდრეს ბაღი, პუშკინის ბიბლ.) საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

✦ **ქალაქის საბჭოს** დღევანდელ სხდომაზე განხილულ იქმნება საკითხი ქალაქის გაგეობის წევრების ჯამაგირის მომატების შესახებ. აგრეთვე ამავე კრებაზე უნდა დაასახელონ კანდიდატები ქალაქის გამგეობის წევრების თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა და მ. ა. ჯაბარის ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.

✦ **სასწავლებლებში.** ქალთა პირველი გიმნაზიის მე8-ე საპედაგოგიო კლასი დასრულეს შემდეგ ქართველ ქალებმა: ელენე აღნიაშვილმა, ანნა კალანდარაშვილმა, ნინო ქარუმიძემ, მელანია კოსტავამ, ნინო ფიცხელაურმა, სოფიო სუხიაშვილმა, ანჟელიკა ცინცაძემ და ნინო ჩახნაშვილმა.

შვიდი კლასი დაამთავრეს: ქსენია ბახტაძემ, ოლღა ბიბილაურმა და ევგენია იმნაძემ (ვერცხლის ჯილდოთი).

✦ **ახტალის სამკურნალო ადგილების** შესახებ მსჯელობა იქონია თავის უკანასკნელ კრებაზე საავარაკო საზოგადოების საბჭომ მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწის თ. ვ. ნ. ორლოვის თავმჯდომარეობით. კრებამ მოისმინა ახტალის სამკურნალო ადგილების საგანგებო კომისიის მოხსენება და დაადგინა დაეთხოვოს ახტალაში ტალახის სამკურნალოს აგების აზრს, ვინაიდან ამ ადგილების ურიცხვ მემკვიდრეთა უფლებანი იურიდიულად არ არის ჯერ მოწესრიგებული. თუ ცალკე მესაკუთრენი შესძლებენ შექმნან ახტალის ადგილების საექსპლუატაციო საზოგადოება, მაშინ საავარაკო საზოგადოების საბჭო ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს ასეთ საზოგადოებას. ჯერ-ჯერობით კი ეს საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. საბჭოს ახტალის ტალახის სამკურნალოს ასაგებად 6 ათასი მანეთი ჰქონდა გადადებული.

✦ **თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძის სახელობის თანხა.** აღნიშნულ სახელობის თანხა უნდა მოხმარდეს სწავლა-აღზრდის საქმეს. ეს თანხა უდრიდა წარსული წლის დასაწყისში 28,388 მან. მოემატა წარსული წლის განმავლობაში 707 მან. და ამ ჟამად მთელი თანხა უდრის 29,096 მანეთს.

✦ **გრ. ორბელიანის ძეგლის ფონდი.** მგოსან გრიგოლ ორბელიანისათვის ძეგლის ასაგებად თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის განკარგულებაში იყო წარსულ წლის დასაწყისში 10,045 მან. წარსულ წლის განმავლობაში თანხას მიემატა 382 მან და ამ ჟამად მთელი თანხა უდრის 10.427 მანეთს.

✦ **დ. ვ. გაბაშვილის სახელობის სახტიპენდიო თანხათ** შეტანილ იქმნა სახელმწიფო ბანკში 1.000 მანეთი, რომლის სარგებელი უნდა მისცემოდა სტიპენდიად ქართულ გიმნაზიის ერთერთ მოსწავლეს. 1915 წლის 1 იანვარს აღნიშნული თანხის სარგებელი უდრიდა 91 მან. 51 კაპ. წლის განმავლობაში კიდევ მიემატა თავნ ფულს სარგებელი 57 მ. და ამ რიგათ 1916 წლის 1 იანვარს მთელი სარგებელი უდრიდა 148 მან. 51 კ. ამ ფულიდან სასტიპენდიოდ დაიხარჯა 91 მან. 51 და დარჩენილი თავნი ფული სარგებლით უდრის 1,057 მანეთს.

✦ **მკვლელობა.** უნტერ-აფიც. ა. არუშანოვმა განუცხადა პოლიციას, რომ მან ავსტრიის ხიშტით მოჰკლა თავისი ცოლი ანნა იუზბაშევისა, იმისათვის რომ იგი ქმარს გაექცა და სად. სანაინში ვიღაც თათართან სცხოვრობდაო. არუშანოვი დააპატიმრეს.

✦ **კომისიების თავმჯდომარენი.** ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ხმ. ხუნუნცი, მცხოვრებთა ჯანსაღობისა — ხმ. ავთანდილოვი. და პენსიების და ერთდროულ დახმარებათა განმანაწილებელ კომისიისა — ხმ. იოანისიანი.

✦ **ბავშთა თავშესაფარი.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობის დავალებით ბ-ნი გ. ცინცაძე ბათუმს გაემგზავრა ომიანობისაგან დაზარალებულთა ბავშვებისათვის თავშესაფარის მოსაწყობად.

✦ **საფეიქრო სკოლა.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა გაუგზავნოს გორის განყოფილებას 200 მან. სოფ. ქურთაში საფეიქრო სკოლის დასაარსებლად.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარ გამგეობის მინდობილობით ბ-ნი შ. ქარუმიძე ხევსურეთს მიემგზავრება ხალხის საჭიროებათა ადგილობრივ გამოსარკვევად.

✦ **მუშათა კასა.** თბ. გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს თ-დ ა. ი. აბაშიძემ, პ. გ. ქურხულმა და სხვ. რათა მათ ნება დართონ მეღვინეთა ამხ. „კახეთიის" მუშათათვის მოაწყონ ერთ-ურთთა დამხმარე კასსა.

✦ **ქალის დაკარგვა.** თბ. პოლიციამ ცნობა მიიღო რომ ერევნიდან 9 მაისს თვის ნათესავებთან თბილისში წამოვიდა 14 წლ. ქალი სირანუშა ყაზაროვისა და დღესაც არ დაბრუნებულა შინ. ვინც ბინა იცის სთხოვენ აცნობონ: ლაზარევის ქუჩაზე 56, რ. ეგიაზაროვისას.

✦ **ანგარიშის დაბეჭდვა.** დაიბეჭდა და ჩქარა გამოქვეყნდება ანგარიში ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებულ საადგილ-მამულო კომისიის 1915 წლის განმავლობაში. 9 წელიწადი შესრულდა, რაც ეს კომისია მუშაობს და უკანასკნელი წლის მისი მოქმედების ანგარიში, ეხლანდელ გაჭირვებულ დროის მიხედვით, ფრიად საყურადღებოა. ანგარიშის შინაარსს ამ დღეებში გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

✦ **მოსავლის მტრებთან** საბრძოლველათ თბილ. საგუბერნიო აგრონომის ხელმძღვანელობით მუშაობენ საგანგებოდ დანიშნული პრაქტიკანტები ქ. გორსა, ცხინვალსა და ორდუბათში. ამ დღეებში პრაქტიკანტები იგზავნებიან ახალციხის, ერევნის, ნახიჩევნის და შულავრის მაზრებში. სოფლის მემამულეთ და მეურნეთ სთხოვს აგრონომი მიაწოდონ ცნობები მოსავლის მტრებისაგან დაზარალებულ ნაყოფიერების შესახებ და თვით ნიმუშები ამ დაავადებულ ნაყოფებისა. მისამართი: ვაკეში, წყნეთის ქუჩა ქართულ გიმნაზიის გვერდით გრ. ყიფშიძის სახლის ზედა სართულში.

✦ **ტყავეულობით ვაჭრობა.** გამოიცა ვაჭრობისა და სამრეწველოების მინისტრის სავალდებულო დადგენილება ტყავეულობით ვაჭრობის შესახებ. თანახმად ამ დადგენილებისა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე დაწესდა შემდეგი ფასები ტყავეულობაზე: 1) წაღების ყელზე, შეუღებავზე — წყვილი 3 მან. 66 კ. 2) შეღებილზე 3 მ. 75 კ. 3) საპირეებზე შეუღებავზე 1 მან. 90 კ. 4) შეღებილზე 1 მან. 95 კ.

✦ **ბაზრის მაჩანდა.** თბილისის ბაზარს დიდძალი ხილეულობა მოაწყდა, მიუხედავათ ამისა ფასები მაინც ძვირია: ქუთაისის ატამი მაგალითად გირვანქა 40 კ. ფუთი 12 მან. შპანსკის ბალი 20—25 კ. 6 მან. ფუთი, ქალაქის ბალი 10—12 კ. ალუჩა 15 კაპ. ქლიავი 30—35 კ. გარგარი 20—25 კაპ. თუთა 10 კ. მარწყვი 40—35 კაპ. გურული ლობიო 8—10 კ. კართოფილი 7—9 კ. კომბოსტო სხალი 6—7 კ. გირვანქა, ფუთი 2 მან., ახალი სოკო 35—40 კ. კიტრი 8—20 კ. პამიდორი მწვანე 60 კ. კაკალი სამურაბე 100 25—30 კ. ლიმონი 15—25 კაპ. დაკლული ფრინველი არ მოიძებნება. ცოცხალი ქათამი 1 მან. 80 კ. —2 მან. ცალი, წყვილი წიწილი 180 —240 კ. თუშური ყველი არ არის. მოთალი 60 კ. გირვანქა, თევზი: საზანი იუნულზე 25 კ. ხუთხი 50 კაპ. ცოცხალი 60 კაპ.

✦ **კიევის უნივერსიტეტს** საექიმო გამოცდა ჩააბარეს შემდეგმა ქართველებმა: 1) გიგო აბდუშელიშვილმა, 2) დათიკო მირიანაშვილმა, 3) გიორგი გაიდამაზჩუკმა, 4) კორნელი ნემსაძემ, 5) ვარლამ აბაშიძემ, 6) ვალერიან ჩხეიძემ, 7) სანსონ ჩხიკვიშვილმა, 8) შოთა ჭეიშვილმა, 9) ნიკო დემეტრაშვილმა, 10 ალექსანდრე საბაშვილმა, 11) შალიკო ყიფიანმა, 12) გიორგი მღებრიშვილმა, 13) კლიმენტი გერსამიამ.

✦ **მეხილეთა ამხანაგობა, „ქართლი"** მეხილეთა ამხანაგობა „ქართლმა" გახსნა თავისი განყოფილება ქალაქ ბაქოში და იქ ხილის გაგზავნის მოწყობას შეუდგა.

---

სული მგოსნისა—საიდან წარმოსდგა ეს, სად აქვს ამას დასაბამი, სად უნდა ვეძებოთ ამის მიზეზები, აი კითხვები, რომელნიც უნებლიეთ იბადებიან, როცა ვაკვირდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის დედა-ძარღვს.

რომ შევიგნოთ ეს ცოტათ თუ ბევრათ, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი მგოსანი, როგორადაც ყველა ადამიანი, თავდაპირველად შვილია თავისი ქვეყნისა, რომ იგი ნაყოფია ადგილობრივ პირობათა და გარემოებათა; და ეს პირობანი და გარემოებანი არ იყვნენ ისეთნი, რომ მგოსნის ქნარი და მისი სიმები მოემართათ ტკბილ სასიმღეროთ.

ძველი რაინდული საქართველო დაეცა. ვერც დიდმა სახელმა ირაკლისამ, ვერც ცალკე პირების განსაცვიფრებელმა გმირობამ და თავ-დადებამ ვერ დაიხსნენ დარღვევისაგან დროსაგან დაწუნებული ფეოდალური წეს-წყობილობა; თვით ხალხი კი, რომელმაც მიიტანა თავის სამშობლოს საკურთხეველზედ თავისი ქონება და სიცოცხლე და რომელიც იცლებოდა სისხლისაგან, განაგრძობდა კიდევ სიცოცხლეს ინერტიულად. მხოლოდ ეხლა ხალხი, მოკლებული თვით-მოქმედებას, გადაიქცა უბრალო მაცქერლად თავისი ცხოვრებისა; იგი იყო მივიწყებული, ქონებით კი გაძარცვული, მისი სულის კვეთება, მისი მაჯის ცემა არავის აინტერესებდა ხალხი მოგაგონებდათ ფრინველსა, რომელიც შეჩვეულ იყო და ახსოვდა კიდეც ცის სივრცეში ნავარდობა მხოლოდ, ეხლა კი ფრთებს მოკლებული იყო; იგი გარინდებული მაინც რაღაცას ელოდა, რაღაცის იმედი ჰქონდა.

ხალხს ჯერ კიდევ სწამდა, ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ დიდი ერთმორწმუნე ერის გულზედ იგი დაისვენებდა, რომ დაიმშვიდებდა თავის შეწუხებულს ხანგრძლივ ბრძოლაში სულს და დაიამებდა თავის ჭრილობას.

ჩვენ ვიცით, რომ ეს იმედი ჩვენი ერისა გაცრუვდა, რომ მალე ყინვის სუსხმა დააჭკნო და გააყრევინა ეს ნაადრევი ყვავილები იმედისა; ზმანება გაჰქრა; დაიმსხვრა ხალხის ბრმა სარწმუნოება; რამოდენაც წრფელი იყო ეს „ყმაწვილის ბრმა მორწმუნოება", იმოდენათ მეტი იყო სასოწარკვეთილება, რომელსაც მიეცა ხალხი.

ეს დართვილვა იმედის ყვავილისა, ეს დამსხვრევა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოებისა" გადაეცა და მოედო მგოსნის მგრძნობიარე გულს, ეს მწუხარება და სევდა დაედო სარჩულად მთელ მის პოეზიას და შეღება იგი ვაებისა და გოდების ელფერით.

დიახ ნიკ. ბარათაშვილის პოეზიას აქვს ეროვნული მიმართულება, ეროვნული ხასიათი. დიახ მის პოეზიას სარჩულად უდევს თავისი ერის სულისკვეთება; ზოგადი, საკაცობრიო, მაგრამ ჩვენს მგოსანში უფრო მეტია მსოფლიო ჰანგები; ჩვენ ვიცით, რომ მის მერანის ჭენებას არა ჰქონდა სამზღვარი, რომ ამ მერანმა „გადაატარა თავისი მხედარი ბედის სამზღვარსა", რომ ამ მერანმა გაარღვია და გადალახა ჩვეულებრივი სამზღვარი ცალკე ეროვნობისა და გავიდა ფართო, საკაცობრიო მინდორზედ.

დიახ, ბარათაშვილი იყო შვილი თავის ქვეყნისა, მაგრამ მასთანვე იგი იყო შვილი კაცობრიობისა; იგი იყო უპირველესად ადამიანი და როგორც რომაელები იტყოდნენ, არა-რა ადამიანური მისთვის უცხო არ იყო ეს მუდმივი ძიება კაცის დანიშნულებისა, ეს უბოლო შფოთვა და ღელვა მისი სულისა ჩაუნერგეს ჩვენ მგოსანს იდეებმა 18 და 19 საუკუნისამ, როდესაც გაღვიძებულმა პიროვნებამ, აქამდინ შებორკილმა და შეხუთულმა, გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა შემხუთველ გარემოებათა და მოითხოვა თავისი ბუნებრივი უფლებანი. ამ მხრივ ჩვენი მგოსნის შემოქმედებაზედ იქონიეს ზედგავლენა მსოფლიო მგოსნებმა და მწერლებმა ბაირონმა, გეტემ, პუშკინმა და სხვებმა. გატაცებულმა ზოგადი ფიქრებით ჩვენმა პოეტმა მომართა თავისი ჩანგი საკაცობრიო ჰანგებით.

განა ეს „იდუმალი ხმა", რომელიც უჩურჩულებს ჩვენს მგოსანს, საკაცობრიო სულის კვეთება არ არის? განა ის სული ბოროტი", რომელიც არ აძლევს ჩვენ პოეტს მოსვენებას, არ არის ის საერთო, საყოველთაო, საკაცობრიო სენი—ის იჭვი, რომელიც იყო დამახასიათებელი თვისება ზემოხსენებულ საუკუნეთა იდეებისა? განა ეს წადილი ჩვენი მგოსნისა ჩაიხედოს „ცის იქით", განა ეს უსამზღვრო ქროლა მისი მერანისა არ არის საყოველთაო, საკაცობრიო სურვილი მისწვდეს მიუწდომელს და გაზომოს განუზომელი?

იმ სოფლის არწივებს, რომელნიც თავისუფლად დანავარდობენ ქვეყნიერობის ცის სივრცეში, მიემატა საქართველოს არწივიც. ის კივილი ჩვენი არწივისა, რომელიც ისმის ზეით ციდამ, უნდა ანუგეშებდეს თავის სამშობლოს და უდგამდეს მას სულს მომავლისას.

ჩვენს მგოსანს კარგათა ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რას ნიშნავდა მისი მერანის დაუდგრომელი ქარიშხალისებური ჭენება; მან იცოდა კარგათ, რომ შეჩერება ამ ჭენებისა არის შეჩერება ცხოვრებისა, არის თვით სიკვდილი ერისა; აკი იმიტომ იგი ეუბნება თავის მერანს:

„გასწი მერანო, შენს ჭენებას არა
აქვს სამზღვარი".

ეხლაც მიაჭენებს, მიჰქროლავს მგოსნის მერანი. მართალია, თითონ მგოსანი დიდი ხანია აღარ არის, დიდი ხანია ჰპოვა მან „საფლავი მდელოთა შორის ტიალის მინდვრის", მაგრამ მისი მერანი მაინც მიჭენობს. მის ჭენებას არა აქვს სამზღვარი, რადგანაც ეს ჭენება არის ჭენება, ქროლვა ხალხის, ერის სულისა; და განა ერის სულის ქროლვას სამზღვარი ექნება?

კიდეც ამ სულის და გონების დაუსრულებელ ქროლვაში არის დანიშნულება ადამიანისა, ცალკე ერისა და თვით კაცობრიობისაც. კიდეც ამ ზოგად, საკაცობრიო ჰანგებშია მთელი სიძლიერე და მომხიბლავი ძალა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისა და თვით მნიშვნელობაც მისი საკუთარი ერისთვის. ისე არაფერი არ ამაღლებს ერს, როგორც ის, როდესაც იგი ერი ეზიარება საყოველთაო, საკაცობრიო აზრებს, როდესაც იგი დაეწაფება საერთო, საკაცობრიო წყაროს.

ამიტომაც უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ასის წლის დაბადების დღე ჩვენი მგოსნისა, რომელიც მოდის ამ შემოდგომაზედ, იქნება არა მარტო მოგონება ჩვენი დიდებული პოეტის სახელისა, არამედ იგი დღე იქნება დღესასწაული მთელი ჩვენის ერის სულის აღფრთოვანებისა, ვიტყვით მეტსაც, იგი იქნება დღესასწაული კაცობრიული სულის გამარჯვებისა.

მ. ნ. ვეზირიშვილი.

### ქუთაისი

აკადემიკოს ნიკო მარს ამ ზაფხულს განზრახვა აქვს სვანეთში ორი თვე დაჰყოს, სადაც შეისწავლის სვანურ წარწერებს, მას დახმარებას აღმოუჩენს ალპანის რაიონის ბოქაული ბ-ნი გაშლიანი.

— ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი 25 მაისს ოზურგეთში გაემგზავრა სამსახურის გამო.

— ეს ორი დღეა ქუთაისში პური არ იშოვებოდა. 25 მაისს ფქვილის ვაჭარს მოშიაშვილს ფოთიდან მოუვიდა 5 ვაგონი ფქვილი. კიდევ რამდენიმე ვაგონს მოელის.

— ქუთაისში სიმინდის ფქვილი 3 მანეთათ ფასობს.

— ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის ინსპექტორათ სამოსწავლო მთავრობამ კოტე ბაქრაძე დაამტკიცა.

— 26 მაისს კლასიკურისა და რეალური სასწავლებლის კურს დამთავრებულ მოწაფეებს დაურიგდებათ გასათავებელი და სამხედრო ვარჯიშობის მოწმობები.

**ს. ბურთა.** (ლიახვის ხეობა)

21 მაისს დიდი რთვილი დასდო და ბოსტან-ვენახები ძალიან დააზარალა. კიტრი, ნესვი და წითელი ბადრიჯანი თითქმის მოისპო.

### ოზურგეთი.

19 მაისს აქედან გაიპარა 9 ტყვე ოსმალო, რომელთაგან 5 კაცი კიდეც შეიპყრეს მეორე დღესვე სოფ. ჭალას და ჩამოიყვანეს. დანარჩენი 4-ს კვალს ჯერ-ჯერობით ვერ მიაგნეს.

— 22 მაისს ქალაქის თეატრში მოხდა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების დამფუძნებელი კრება. თავმჯდომარეობდა სიმ. ცხომელიძე, მდივნად აირჩიეს მიხ. საბაშვილი. კრების საგანი იყო დროებითი გამგეობის წევრთა არჩევნები, რომელშიც ერთხმად არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ თავ. ერმ. ნაკაშიძე; წევრებად—ქ-ნი ნადია თოთიბაძისა, ბ.ბ. კირ. ჯაველიძე, ვას. კილაძე, სოლ. ანდღულაძე, ალ. გვახარია და მიხ. საბაშვილი.

— ქალაქის თავის ექიმ თავ. დიმ. ერისთავის დასმენით 19 მაისს გაჩხრიკა ქალაქის ბოქაულმა ბ. ჩიკვაიძემ მაზრის ფერშალი ბ. ბეს. კალანდაძე, ვითომ მას ნება დაურთველად ჰქონდეს საკუთარი აფთიაქი და წამლებსაც ჰყიდდეს. გაჩხრეკას დაესწრნენ პროვიზორები ბ.ბ. ვლ. სულაქველიძე და ალ. მხეიძე, მაგრამ საწინააღმდეგო ვერა აღმოაჩინეს-რა.

# ეკონომიური ცხოვრება

### დილმის საკრედიტო ამხანაგობის წლიური ანგარიში.

დილომი (თბილისის მაზრა). ამა წლის მაისის 15-ს დილმის საკრედიტო ამხანაგობის საზოგადო კრება მოხდა, რომელსაც დაესწრო ინსპექტორი დ. კ. ჩხეიძე. კრებამ, ვიდრე წლის ანგარიშს განიხილავდა, ერთხმივ თავმჯდომარეთ ამოირჩია ვანო თოფჩიშვილი, რის შემდეგაც შეუდგა წარსული 1914 წლის ანგარიშის განხილვას. ამხანაგობამ თავისი მოქმედება დაიწყო 1912 წელს. იანვრის პირველისათვის ჰყავდა 515 წევრი, რომელთაც სესხად ჰქონდა გადაწყვეტილი 45,995 მანეთი. ამხანაგობის მოქმედება გამოიხატება შემდეგი ციფრებით:

| პ ა ს ი ვ ი | დარჩენილი წინათ წლის დასაწყისიდან. მან. | კაპ. | წლის შემოსავალი. მან. | კაპ. | წლის გასავალი. მან. | კაპ. | საანგარიშო წლის დასასრულისათვის დარჩა. მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძირითადი თანხა | 2217 | 80 | 310 | — | — | — | 2522 | 80 |
| სათადარიგო თანხა | 105 | 90 | 154 | — | — | — | 259 | 90 |
| განსაკუთრებული მნიშვნელობ. | 190 | 97 | 225 | 69 | — | — | 416 | 66 |
| შესანახად მიბარებული ფული | 2315 | — | 5000 | — | 2304 | — | 5011 | — |
| სესხი ბანკიდან | 5008 | 66 | 15188 | 92 | 10008 | 66 | 10188 | 92 |
| გარდამავალი თანხა | — | — | 2473 | 57 | 2454 | 13 | 19 | 14 |
| სარგებელი, მოგება | 769 | 69 | 2090 | 11 | 2004 | 03 | 855 | 77 |
| სრულიად | 10603 | 02 | 25442 | 29 | 16770 | 82 | 19274 | 49 |

| ა ქ ტ ი ვ ი | დარჩა წლის დასაწყისისათვის. მან. | კაპ. | წლის შემოსავალი. მან. | კაპ. | წლის გასავალი. მან. | კაპ. | დარჩა საანგარიშო წლის დასასრულისათვის. მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სესხად გაცემული | 10229 | 75 | 24410 | 75 | 29926 | — | 15745 | — |
| ქონება | 80 | — | 10 | — | — | — | 70 | — |
| მოსყიდული საქონელი | — | — | 2486 | — | 2486 | — | — | — |
| გასავალი და ზარალი | — | — | 1234 | 34 | 1234 | 34 | — | — |
| სრულიად | 16309 | 75 | 28141 | 09 | 33646 | 34 | 15815 | — |
| | 293 | 27 | — | — | — | — | 3459 | 49 |
| ბალანსი | 10603 | 02 | — | — | — | — | 19274 | 49 |

შემოსავლიდან წლის განმავლობაში შემდეგი ხარჯები გასწია: გამგეობის და საბჭოს წევრებს ჯილდოთ მიეცა 180 მან., საქმის მწარმოებელს 120 მ., სახლის ქირა 30 მან., ქონების დასაფარავი 10 მან., დანარჩენი საკანცელარიო ხარჯი—66 მან. 63 კაპ., ვადაზედ ადრე შემოტანილ ფულს სარგებელი დაუბრუნდა 57 მან. 73 კაპ., შესანახავი ფულის და სესხის სარგებელი ბანკს—769 მან. 98 კაპ. სულ ერთად 1234 მან. 34 კაპ წმინდა მოგება დარჩა 855 მან. 77 კაპ., რომელიც ასე განაწილდა: საკუთარი თანხისათვის—320 მან. სათადარიგო თანხისათვის—160 მან., სახლის ასაშენებლად 310 მან. 77 კაპ., აჭარელების სასარგებლოდ 25 მან. პანთეონისათვის—10 მან. და დილმელი ჯარისკაცთა გაჭირვებულ ოჯახების სასარგებლოდ—30 მანეთი.

კრებამ დაადგინა ჩაეწეროს კახეთის კავშირში წევრად და თვის რწმუნებულად დანიშნა გამგეობის თავმჯდომარე მღვდელი იოანე სონღულაშვილი და საბჭოს თავმჯდომარე ეფემია გიორგევი. კრებამ დაადგინა იყიდოს ამხანაგობის სასარგებლოთ 1916 წლის სამხედრო სესხის ფასიანი ქაღალდები 5½%% და გადასდო ამისათვის 500 მან. კრებამ გამგეობისა და საბჭოს წევრებად ისევ ძველები დასტოვა და დაუწესა ჯამაგირები გამგეობის წევრებს წელიწადში ექვს ექვსი თუმანი. საბჭოს თავმჯდომარეს 30 მ. და საბჭოს წევრს ორ ორი თუმანი, სახლის ქირა 60 მან. საქმის მწარმოებელს 150 მ. და კანცელარიის ხარჯად 60 მან. და ბოლოს კრებამ, დაამტკიცა რა წლის ანგარიში დიდი მადლობა გამოუცხადა ინსპექტორს ჩხეიძეს და ნასიამოვნები დაიშალა საქმის კარგად და წესიერად წაყვანით.

**მღ. ივ. სონღულაშვილი**

# თბ. გუბ. თავად-აზნაურთა საფინანსო ანგარიში 1915 წ.

დაიბეჭდა აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა 1915 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომელიც განსახილველად წარედგინება თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას.

**შემოსავალი.**

როგორც ეს ანგარიში გვიჩვენებს, წასული წლის განმავლობაში თავად-აზნაურობას შემოსვლია:

1) თბილისის სადგილ-მამულო ბანკის 1914 წლის მოგებიდან საყოველთაო საჭიროების თანხა 219.867 მან. 73 კაპ.; 2) იმავე ბანკის იმავე წლის მოგებიდან სახელდახელო თანხა 31.409 მან. 68 კაპ.; 3) მომგებიან ქაღალდების სარგებელი 28.150 მან. 93 კაპ.; 4) მიმდინარე ანგარიშის სარგებელი 3.545 მან. 42 კაპ.; 5) გორის მემამულეთა ამხანაგობისა და კახეთის მევენახეთა საზოგადოებისაგან 4.721 მან. 48 კაპ.; 6) უმაღლესად ბოძებული თავად-აზნაურთა შვილების აღსაზრდელად 20.000 მან.; 7) სხვა და სხვა შემოსავალი 1.599 მან. 80 კაპ.; 8) ქარვასლის წმინდა შემოსავალი 24.343 მან. 37 კაპ.; 9) საგაბაშვილო თხინვალის მამულის შემოსავალი 386 მან. 40 კაპ.; 10) წყნეთის ქუჩის მამულის შემოსავალი 1.256 მან. 32 კ.; 11) ელექტრონის სადგურის წმინდა შემოსავალი 4.474 მან. 65 კაპ.; და 12) საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლების დაკლებულ ფასებში ყიდვით 12.631 მან. 34 კაპ.; სულ 352.387 მან. 12 კაპ.

**გასავალი ამავე წლის განმავლობაში:**

1) საყოველთაო საჭიროების და სახელდახელო თანხების 10% გადარიცხულია სათადარიგო თანხაში 25,127 მან. 74 კაპ.; 2) თავად-აზნაურთა საკრებულოს შენახვა 16,073 მ. 68 კაპ.; 3) გუბერნიის მარშალს საზოგადო საქმეებისათვის სიარულის დროს ხარჯათ 5,000 მან.; 4) სტიპენდიები და ერთდროული დახმარება უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში 6,014 მან. 95 კაპ.; 5) დახმარება სხვა და სხვა დაწესებულებათ და კერძო პირთ 47,000 მან.; 6) ქართულ გიმნაზიის საჭიროებისათვის 85,000 მან.; 7) სხვა და სხვა ხარჯები, მაგალითად, რწმუნებულების წასვლა პეტროგრადის სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევის დროს, ახტალის მადნეულ წყლების შესასწავლად, კავკასიის სააგარაკო საზოგადოებას, აკაკისა ð ვაჟა-ფშაველას დასაკრძალავად, საკათალიკოსო სენაკის შესაკეთებლად მცხეთის ტაძართან, დახმარება აკაკის მეუღლეს, თავად-აზნაურთა საქმეების წარმოება სამოსამართლო დაწესებულებებში და სხ. 11.567 მან. 21 კაპ.; 8) ვალის სარგებელი 44.090 მან. 89 კაპ.; 9) საადგილ-მამულო კომისიას გადასაბრუნებელი თანხა 32.541 მან 97 კაპ.; 10( მაზრის მარშლების კანცელარიების შენახვა 7.200 მანეთი; 11) ერთდროული დახმარება, პანაშვიდები, დაჭრილ, დახოცილ და დაკარგულ მეომართა სიების შედგენა და სხ. 5.000 მან., 12) კახეთის რკინის გზის საქმეებზე 1.132 მან. 25 კაპ,. 13) სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს თავ. დ. ზ. მელიქიშვილის ვალის ანგარიშში 1300 მან., 14) ქარვასლის ზოგიერთ მოიჯარადრეთ ცეცხლისაგან მიყენებულ ზარალის გამო 1.634 მან., 15) ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ეპატია ვალი 14.360 მან. 39 კაპ., 16) საზოგადოება „თამარას" ეპატია ვალი 500 მან. და 17) ქარვასლისა და წყვეთის ქუჩის მამულის ძირითადი ვალის ანგარიშში 28.929 მან. 67 კაპ., სულ დახარჯულია 332.472 მან. 75 კაპ.

დარჩა 19,914 მან. 37 კაპ., რომელიც გადარიცხულია სათადარიგო თანხაში.

**სარგებლიანი ქაღალდები.**

თავად-აზნაურობას 951,600 მანეთის სარგებლიანი ქაღალდები აქვს, რომელთაგან კახეთის რკინის გზის აქციები უდრის 950,000 მან., 1 5%-იანი გირავნობის ფურცელი თბილისის საადგილ-მამულო ბანკისა 1,000 მან. და ერთი მომგებიანი ბილეთი მესამე შინაგანი სესხისა 100 მან. ამ ქაღალდების კუპონების ფასი უდრის საანგარიშო წლის განმავლობაში 27.103 მან. 56 კაპ.

**სასოფლო-სამეურნეო თანხა.**

1915 წლის 1 იანვარს ჰქონდა თავად-აზნაურობას 416.821 მან. 38 კაპ. საანგარიშო წლის განმავლობაში მიიღო საადგილ-მამულო ბანკის 1914 წლის წმინდა მოგებიდან 56.537 მან. 41 კაპ., კახეთის მევენახეთა საზოგადოებისაგან ხვედრი სარგებლის ნახევარი 3.676 მან. 55 კაპ. და ქართლის მემამულეთა ამხანაგობისაგან 596 მან. 70 კაპ., ამ რიგად მიმდინარე წლის 1 იანვარს მთელი ჯამი სასოფლო-სამეურნეო თანხისა უდრიდა 477.632 მ. 04 კაპ.

აღნიშნულ იანვრიდან სესხად მიეცა სხვა და სხვა საზოგადოებას და კერძო პირთ და საადგილ-მამულო კომისიის საშუალებით შეტანილ იქმნა სხვა და შემნახ.-გამსესხ. კასაში 109.011 მ. 87 კ. ქართლის მემამულეთა ამხანაგობას სესხად 22.721 მან. 40 კაპ. კახეთის მევენახეთა საზოგადოებაზე ითვლება 97.290 მან. 14 კაპ., თავად-აზნაურობის საგაბაშვილო—თხინვალის მამულზე ითვლება 34.352 მან. 60 კაპ.; გორის მაზრის თავად-აზნაურობაზე ითვლება 12.900 მან; სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობაზე ითვლება 6.074 მან. 30 კაპ.; თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებაზე ითვლება 28.652 მან. 75 კაპ.; საყოველთაო საჭირო თანხაზე ითვლება 19.981 მან. 40 კაპ.; თავად-აზნაურობის მამულზე ატენში ითვლება 7.000 მან. და დამწყვარ ქართულ თეატრზე 82.378 მან. 72 კაპ.

ამ რიგად გადმოსესხებულია აღნიშნულ თანხიდან სულ 420.463 მან. 18 კაპ. და თავისუფალი იყო მიმდინარე წლის 1 იანვარს 57.268 მან. 86 კაპ.

**სათადარიგო თანხა.**

1915 წლის 1 იანვარს ირიცხებოდა აღნიშნულ თანხაში 185.832 მან. 03 კაპ. საანგარიშო წლის განმავლობაში, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, აღნიშნულ თანხაში გადარიცხულ იქმნა სხვა და სხვა თანხებიდან 31.409 მან. 68 კაპ. კიდევ გადარიცხულ იქმნა ამავე თანხაში შემოსავალ-გასავლის ნაშთი 19.914 მან. 37 კაპ. და აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნაშთები 8.652 მან. 92 კაპ. მთელი სათადარიგო თანხა ამ რიგად უდრიდა 245.809 მანეთს.

აღნიშნული ჯამიდან გადარიცხულია სხვა და სხვა სპეციალ თანხებში დახარჯულია სულ 161.311 მან. 81 კაპ. ნაღდათ ითვლებოდა თანხაში 38.997 მან. 19 კაპ. რომლისაგან 15 ათასი მანეთი დანიშნულია წმ. ნინოს სახელობის ლაზარეთის შესანახად.

**უძრავი მამული**

თავად-აზნაურობას აქვს თბილისში: 1) სასახლის ქუჩაზე ქარვასლა, 2) წყნეთის ქუჩაზე ადგილი ზომით 1604, ოთხ კუთხი საჟენი, 3) თბილისის მაზრაში საგაბაშვილო თხინვალის მამული ზომით 234 დეს. 1240 საჟ. საქალაქო მამულებს ვალად ადევს 502.421 მან. კაპ., რომელთაგან ქარვასლას უწევს 412421 მან. 51 კაპ. და წყნეთის ქუჩის მამულს 90·000 მან.

# თ-დ აზნ. ბანკის რწმუნებულთა კრება

(დასასრული)

რწმუნებულთა კრებამ დაადგინა ცხოვრების გაძვირების გამო ბანკის მოსამსახურეთ მოემატოთ ჯამაგირები 20, 25 და 33%-ით. ამის შემდეგ კრება ამტკიცებს ბანკის ხარჯთ-აღრიცხვას. დიდ კამათს იწვევს მოხსენება ბანკის ახალ ბინის სააღმშენებლო კომისიისა, რომელიც თხოულობს 20 ათას მანეთს შენობის დასამთავრებლად, ვინაიდან ხარჯთ-აღრიცხვა ამ შენობისა, რომელიც 305 ათას მანეთს უდრის, შესდგა ომის დაწყებამდე, როდესაც ასეთ ნაირი სიძვირე არ იყო ჯერ. კრებამ დაადგინა მიეცეს ეს თანხა. დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარედ უგ. თ-დი მ. ა. გრუზინსკი 54 ხმით იქმნა არჩეული. გამგეობის წევრად თ-დი დ. ა. ფავლენიშვილი 58 ხმით, დამფასებლებად ს. ნ. ყაზახაშვილი 58 ხმით, ს. ვ. ყიფიანი 59 ხმით და დამფასებელ კომისიის ორ წევრის კანდიდატად—თ-დი ა. დ. ციციშვილი 59 ხმით. დანარჩენი კანდიდატები გააშავეს. კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა სულ 63 რწმუნებული.

# წერილი დიდი ლიახვის ხეობიდან

ჩვენი ხეობიდან თითქმის არაფერი არა ეცნობება რა გაზეთის მკითხველ საზოგადოებას და ჩვენი ქვეყნის მოინტერესე ხალხსა, თითქოს ეს კურთხეული ხეობა ყურადღების ღირსი არ იყოს. ნამდვილად კი ეს ხეობა ერთი უმდიდრესი კუთხეა საქართველოსი. სოფელ ერგნეთის გვერდით მიმავალ გზიდან რომ გადაჰხედოთ ამ ხეობას, აღტაცებაში მოხვალთ და საამო სიხარულს იგრძნობთ მის სანახაობითა. მის მშვენიერ ბაღ-ვენახებით გაშენებული ვიწრო ველი, ორივ ნაპირას დიდი ლიახვის გაუვალ ჭალად მოგეჩვენებათ და უნებლიედ გაგახსენდებათ ხალხური მოძახილი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, თვით ის დიდებული სანახაობა გათქმევინებთ ამავე ლექსსა:

„ლიახვისთანა ხეობა
არსად იქნება ვალაო,
შუაში მოდის ლიახვი,
აქეთ და იქით ჭალაო,
კაცი გამოდის მისთანა,
დაღესტნის ლეკისთანაო".

იქნებ როცა ეს ლექსი თქმულა, მაშინ მართლა ლიახვის ნაპირებზე გაუვალი ჭალები იყო ატეხილი, და ხალხიც დაღესტნის ლეკებსა ჰგავდა, მაგრამ ახლა როგორც ეს ჭალა გადაქცეულა კულტუროსან ხეხილის ბაღებათ და მშვენიერ მოვლილ ვენახებად, ისე ხალხია გადაქცეული ამ კულტურის შემქნელად და მის მარჯვენით შეძენილ ქონების მომხმარებელად.

აქაური ხალხი მშვიდია, ერიდება ბოროტ-მოქმედებას. და თუ გამოჩნდნენ ვინმე მისთანები, ვერა ბოგინობენ. ბაღ-ვენახების გაშენება ამ ხეობაში უხსოვარ დროიდგან დაუწყიათ. ღვინოც და ხილიც მარტო საშინაო მოსახმარად უშენებიათ, მაგრამ ამ ოცდაათი წლიდგან უკვე სავაჭრო-სამრეწველო ბაღების გაშენება იწყება და ამ ბოლო დროს უმაღლეს საფეხურზე შედგა ეს საქმე. ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ამ ხეობაში რამდენიმე ასი ათასი ვაშლისა და მსხლის ხე დაირგო. რომლის მოსავლის ჩასაწყობად დიდი ლიახვის ბუმბერაზ მთებიდგან მოჭრილი ხე-ტყით გაკეთებული ყუთები აღარ ჰყოფნის და სხვა ქვეყნებიდგან მოეზიდებიან. ამავე ხეობაში მოჰყავთ დიდძალი კომბოსტო. წელს ხომ იმდენი კომბოსტო დარგეს, რომ ნერგს ველარც კი შოულობდნენ, და თუ გასავალი გზა ეხლავ არ იზრუნეს, ადვილად შეიძლება, ამ მუშა ხელის სიძვირის დროს შემუშავებული ნაამაგდრიდან ხელცარიელი დარჩეს მშრომელი ხალხი. ხეხილის გაშენებას ხელს უწყობს სანერგეების გაშენებაც მრავალ წვრილ-წვრილ მებაღეებისაგან. მშვენიერ ბაღებში ფუტკარსაც ამრავლებენ, თუმცა ჯერ ეს სულ ახალი საქმეა, მაგრამ მოიპოვებიან ისეთი მეფუტკრეებიც, რომლებიც ას ფუთიან თაფლის ღალას იღებენ გაუმჯობესებულ სკებიდგან.

ასეთი მუყაითი შრომით გამდიდრებულმა ხეობამ ძალა უნებურად ყველას ყურადღება მიიპყრო. მოიზიდა შორი ქვეყნიდგან ხილის ვაჭრები ð შეეცადა აქაური ხალხიც საამხანაგოთ თავის ნაწარმოები გაესაღებინა. აქ გაჩნდა კერძო ორ სამ კაცის ამხანაგების გარდა, საქაშეთის და ქართლის მეხილეთა ამხანაგობაც, რომელიც სამწუხაროთ, თავის გამოუცდელობით მოგებას ვერა ჰხედავს ჯერ-ხანობით, ამ დიდი ლიახვის ხეობას მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და საერობო ინსტრუქტორი ლ. შემიოტი და ნაცვლიშვილი მებაღე გამოგზავნა ცხინვალში, რომელიც დიდი ხალისით მუშაობს და შესაფერ დარიგებას აძლევს ცხინვალელ მცხოვრებ ვაჭრებს და წამლებს მუქთათ ურიგებს, ხოლო აკისრებს ცხინვალის სამეურნეო საზოგადოებას შესწირეთო. მოვიდა ბოტანიკი თბილისის ბოტანიკურ ბაღისა, რომელმაც ინსტრუქტორის შემიოტის თანხლებით მოიარა დიდი ლიახვის ხეობის სათავეები და მრავალი სამკურნალო მცენარე აღმოაჩინა, და ახლა უნდა მოაწყოს საქმე ისე რომ ეს მცენარეები მოკრიფოს. მარტო კატაპარია ბალახი (ამ ბალახისაგან ვალერიანის წვეთებს ხდიან) ხუთი ათასი ფუთი უნდათ, ახლა გულ-ფილტვაც ამდონი და სხვა მრავალი, ძლივს ჩვენ ქვეყანაში ეს სასარგებლო საქმე იწყობა და სათანადოა ჩვენმა ქართველმა პროვიზორებმა და ვისაც ეს საქმე ემარჯვება, ყურადღება მიაქციონ და საქმეს ხელი მოჰკიდონ ისე რომ ეს საქმე ჩვენ ხალხს არ ასცდეს და აქაც სხვისი ხელში შემყურე არ გავხდეთ. არის მოთხოვნილება ოცი ათასი ფუთი უბრალო ტყემლისაც, რაც უნდათ ბაქმაზათ, (პიურეთ) აქციონ, ამ საქმეს „ქართლის" ამხანაგობა უნდა ჩაუდგეს სათავეში და უნარი გამოიჩინოს. 24 მაისს ამა წლისა, რუსეთის მეხილეთა საზოგადოების თბილისის განყოფილების თავმჯდომარე კუშკინი და ავსარქისოვი მოვიდნენ აქაურ ხილის ბაღების დასათვალიერებლად და გასაცნობათ. ამ ხეობაში სცხოვრობენ ისეთი ინტელიგენტი ოჯახები, რომლებმაც თავი გასწირეს სოფლისთვის, ქალაქში სამსახურს თავი მიანებეს და სოფლის ხალხს კულტურული შრომის მაგალითებს უჩვენებენ, ხალხიც უკვე ნდობით უყურებს მათ. ადგენენ კოოპერატივებს.

ამ ხეობაში გაიხსნა მთელი რიგი სამინისტრო სკოლებისა, სადაც სამწუხაროდ, მომეტებულ შემთხვევაში, მასწავლებლები ღალატობენ თავიანთ მოვალეობას და ბავშვებს ვერ აბეჯითებენ და მათ მშობლებს გულს უც-რუებს სკოლაზე. გამოფხიზლებულ ხალხი [illegible] იმგვარ სკოლ[illegible] [illegible] ხელოსნობა ისწავლიან, როგორც ქალები ისე ვაჟები. ამნაირი სკოლის დასაარსებლად შუამდგომლობა აღძრეს სოფელ ქურთის მცხოვრებლებმა და შესაფერი მოხსენება გამოუგზავნეს გორის საქველმოქმედო საზოგადოებას, სადაც აცხადებდნენ სურვილს, რომ სოფელ ქურთაში უშველოს ამ საზოგადოებამ და ფეიქრო სახელოსნო გახსნა, სად[illegible] ისწავლიან ომში გასულ ჯარისკაცთა ობლად დარჩენილი ბავშვები. პასუხი ჯერ არ მოსულა. ეს ხომ ჩვენი ჩვეულება; საერთო საქმე გვიან კეთდება ან სულაც დავიწყებას ეძლევა.

**ლიახველი.**

# ღია წერილი

**მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ სათვისტომოს მოვალეების საყურადღებოდ**

უკვე ხუთი თვის წინათ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ სათვისტომოს ძველმა გამგეობამ გაზეთების საშუალებით მიმართა აღნიშნულ სათვისტომოს მოვალეებს, უმაღლეს სწავლა-დამთავრებულებს წინადადებით, რათა მათ კეთილ ენებათ და ორი თვის განმავლობაში დღიდან წინადადების გამოქვეყნებისა შესდგომოდნენ თავიანთი ვალების გადახდას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა მოვალეთა სიის გაზეთებში გამოცხადებისათვის ემზადებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მოწოდებას თითქმის არსაიდან გამოხმაურება არ ეღირსა, ძველი გამგეობის მუქარა, სხვა და სხვა დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ვერ იქმნა სისრულეში მოყვანილი, თუმცა უკვე სამი თვე გავიდა გამგეობის მიერ განსაზღვრულ ორ თვიან ვადის შესრულების შემდგომ.

სათვისტომოს ახლად არჩეული გამგეობაც გაურბის ამ უკიდურესი და არა სასიამოვნო ზომას და აგრძელებს დასახელებულ ვადას კიდევ სამის თვით, დღიდან გამოცხადებისა, რათა მოვალეებს მიეცეს საშუალება წერილობით გვაცნობოს მიზეზი ვალის გარდაუხდელობისა, ხოლო თუ ამ უკანასკნელ ვადისთვისაც სათვისტომოს გამგეობის ხმა დარჩება ისევ და ისევ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", მაშინ ძველი გამგეობის დადგენილება დაუყონებლივ სისრულეში იქმნება მოყვანილი და დაე მოსკოვის უნივერსიტეტის სათვისტომოს მოვალეებმაც აგონ პასუხი საზოგადოებრივ მსჯავრის წინაშე.

ბარათის და ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: Москва, Тверско-Ямскій переулокъ д. № 6, отдѣлъ Земскаго Союза студенту С. З. Панцхава.

გამგეობის თავმჯდომარე **ნ. ჯორჯიკია.** მოლარე **ს. ფანცხავა.** მდივანი **იაკობ ვარძიელი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ ულრმესი მადლობა გამოვუცხადო თბილისის საქალებო ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს ქ-ნ ლ. ქუთათელაძეს, რომელმაც პირადის დასწრებით და მოწაფე ქალების მოყვანით 1 მაისს, ჩემი ქალის ელიკოს დაკრძალვის დღეს, უახლოესი მონაწილეობა მიიღო მშობელთა უზომო მწუხარებაში. ამასთან გირდგენთ 5 მანეთს ქალთა საოსტატო სემინარიის განზრახულ ფონდის გასაძლიერებლად.

**არჩილ სტ. დარეჯანაშვილი.**

# ჩვენი ფოსტა

**ბაქო. ს. გ. კეკელიძეს.** გრ. ვეშაპელის წიგნი „სამაჰმადიანო საქართველო" რედაქციაში გასასყიდათ არ მოგვეპოვება.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკებ- რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „[illegible]" [illegible], [illegible] შესახვევი № 4.